შპს ჭიორა ჰესი

#09/10/18-01

09.10.2018

საქართველოს გარემოს დაცვისა
და სოფლის მეურნეობის მინისტრს,
ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ შპს „ჭიორა ჰესი“ გეგმავს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში, კერძოდ, ონის მუნიციპალიტეტში, მდინარე ჩვეშურაზე ჭიორაჰესის (15.85 მეგავატი დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელებას.

პროექტი განეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ I დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას და შესაბამისად ექვემდებარება გზშ-ს პროცედურას.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-6 და მე-8 მუხლების მოთხოვნების გათვალისწინებით, წარმოგიდგენთ დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშს.

წერილს თან ერთვის:

1. სკოპინგის ანგარიშის ნაბეჭდი ვერსია - 1 ეგზემპლარი;
2. სკოპინგის ანგარიშის ელექტრონული ვერსია;
3. საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა) კოორდინატები, shape ფაილების სახით;
4. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს „ჭიორა ჰესი“-ს რეგისტრაციის თაობაზე.

გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და შესაძლებლობის შემთხვევაში, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის საფუძველზე შპს „ჭიორა ჰესი“-ს სახელზე გასცეთ სკოპინგის დასკვნა.

პატივისცემით,

გიორგი გიგინეიშვილი
დირექტორი

№ 12988
09. 10. 2018
1
ფ.